



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
 Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქმი № 15

„31“ 10

2018 წ

დადგენილება № 69

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 04 თებერვლის #8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 04 თებერვლის #8 დადგენილებაში და დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „4. აკადემიური პერსონალის მიერ (გარდა ამ დადგენილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული აკადემიური პერსონალისა) სავალდებულო მინიმალური სააუდიტორიო დატვირთვის ზემოთ საკონტაქტო საათების ჩატარება დასაშვებია კვირაში არაუმეტეს 3 საათისა, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამატებით არაუმეტეს 6 საათისა, რაც ანაზღაურდება საათობრივი ანაზღაურების წესით.“
2. საკითხი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება ჩაბარდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. #62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

J.

მაკა ბერიძე